განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 15-16.02.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 15.03.2022

თბილისი
2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**სპორტი / Sports**
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სპორტის ბაკალავრი / Bachelor of Sports
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სპორტი / Sports, 1014
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №33, 13 მარტი 2020 წ.

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ზუბიტაშვილი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლელა აფციაური, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ კაკაბაძე, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი აბულაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას (შემდგომში - პროგრამა), საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა 2020 წლის 13 მარტს (გადაწყვეტილება N33).

პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივი შრომითი ბაზრისთვის კადრების მომზადებაზე. ის მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ფართო, ზოგადი ცოდნა სპორტის სფეროს და სპორტის სხვადასხვა სახეობების თეორიული საფუძვლების შესახებ და ჩამოუყალიბოს შესაბამისი კომპეტენციები, მათ შორის პრაქტიკული უნარები.

პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები - 150 კრედიტი (სავალდებულო სასწავლო კურსები და პრაქტიკა - 138 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები - 12 კრედიტი);
- თავისუფალი კომპონენტი - 90 კრედიტი (სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი; არჩევითი სასწავლო კურსები - 50 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 2 თებერვლის №102594 ბრძანების საფუძველზე, 2022 წლის 15-16 თებერვალს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) მიერ განხორციელდა

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის (შემდგომში - ვიზიტი) დაწყებამდე დადგენილი ვადებით ჯგუფს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და დანართები. დისტანციური ფორმით (Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით) ჩატარდა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. ასევე, ჯგუფის წევრებმა განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით - ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები განხორციელდა 15 თებერვალს, სრულად დისტანციური ფორმით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ქ. გორში განხორციელდა 16 თებერვალს ადგილზე ვიზიტით (გადამოწმდა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა: სპორტული ბაზები (დარბაზები, მოედნები). ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული სავალდებულო სახელმძღვანელოები. ექსპერტები გაეცნენ იმ ელექტრონულ სისტემას, რომლის მეშვეობითაც წარიმართება სასწავლო პროცესი).

ვიზიტი წარიმართა დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, შეფერხების გარეშე, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტები შეხვდნენ ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ჯგუფებს და დაწესებულების წარმომადგენლებს, კერძოდ: რექტორს, მის მოადგილეს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის მართვის, საერთაშორისო ურთიერთობის და იურიდიული სამსახურების უფროსებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელს/პრაქტიკის განმახორციელებელ პირებს.

დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიში და ყველა თანდართული დოკუმენტი, ასევე პირობითი აკრედიტაციის გადაწყვეტილებაში მითითებული რეკომენდაციების შესრულების საკითხი.

ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები, რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით პროგრამის მიმართ იკვეთებოდა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- <u>სტანდარტი #1</u> - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (სტანდარტის კომპონენტები 1.1 და 1.2 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან);
- <u>სტანდარტი #2</u> - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (სტანდარტის კომპონენტები 2.1, 2.4, 2.6 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო კომპონენტები 2.2, 2.3, 2.5 - როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);
- <u>სტანდარტი #3</u> - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (სტანდარტის კომპონენტი 3.1. შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 3.2. შეფასებას არ დაექვემდებარა);
- <u>სტანდარტი #4</u> - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - <u>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (სტანდარტის კომპონენტები 4.1. და 4.4. შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო კომპონენტები 4.2 და 4.3 - როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);
- <u>სტანდარტი #5</u> - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u> (სტანდარტის კომპონენტები 5.1, 5.2. და 5.3 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ოპტიმიზაცია, კერძოდ: შემცირდეს მძლეოსნობის კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტთა რაოდენობა და დარჩეს „მძლეოსნობა-1“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა-2“ (5 კრედიტი); „ტანვარჯიში-1“ და „ტანვარჯიში-2“ გახდეს 5-5 კრედიტიანი; „მოძრავი თამაშები“ გახდეს 5 კრედიტიანი.
2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „სპორტული წვრთნის საფუძვლების“ ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსები „სპორტული წვრთნის საფუძვლები-1“ (5 კრედიტი) და „სპორტული წვრთნის საფუძვლები-2“ (5 კრედიტი).
3. რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება, სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინაში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან დაკავშირებული მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.).
4. რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ახალი გამოცემებით შევსების/ჩანაცვლების საკითხზე.
5. რეკომენდებულია, წინაპირობის სახით მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებიც რეალურად აუცილებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის.

6. პრაქტიკული დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება, თუნდაც ერთი კონკრეტული სასწავლო კვირისათვის.
7. განხორციელდეს სილაბუსებში მითითებული წრიული წვრთნის მეთოდის ამოღება ან იმავე სილაბუსებში დეტალურად განიმარტოს მისი გამოყენების საჭიროება.
8. რეკომენდირებულია, რომ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურმა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს სტუდენტებთან მუშაობის ახალი მექანიზმები.
9. რეკომენდებულია პროგრამის ყველა კომპონენტის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი ამ კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ - პრაქტიკული დისციპლინების ყოველი ცალკეული სასწავლო კურსი (თეორიული თუ არა, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დონეზე მაინც) წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა და ეს დადასტურდეს სილაბუსებსა და ხელშეკრულებებში.
10. რეკომენდებულია, მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული და დოკუმენტირებული უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი და პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფინანსური რესურსები.

რჩევები

1. მიზანშეწონილია კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობებში არსებული ზოგადი ჩანაწერი დაკონკრეტდეს კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.
2. მიზანშეწონილია, სპორტული ტურის ნორმატივები შემუშავდეს სპორტის ცალკეული სახეების მიხედვით (მათთვის ინდივიდუალურად გაწერილი და სპორტის სახეობებისთვის მორგებული ნორმატივების საფუძველზე) და შესაბამისად, სპორტული ტური ჩატარდეს არა საერთო ფიზიკურ მომზადებაში, არამედ სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში.
3. მიზანშეწონილია, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ნაწილში წარმოდგენილი სასწავლო კურსები „ქართული ჭიდაობა“, „თავისუფალი ჭიდაობა 1, 2“, „კალათბურთი“, „ძიუდო 1, 2“, „ცურვა“ და „ჭადრაკი“ გადატანილ იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილში.
4. მიზანშეწონილია „ფეხბურთის“, „ჩოგბურთის“, „ხელბურთის“, „ფრენბურთის“, „კრივის“ და „რაგბის“ 3-კრედიტიანი სასწავლო კურსები გახდეს 5 კრედიტიანი და ყოველი ასეთი სპორტული სპეციალიზაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილში, ერთი კურსის ნაცვლად წარმოდგენილ იქნეს სამი 5-5 კრედიტიანი სასწავლო კურსების სახით. მიზანშეწონილია ანალოგიური მიდგომა იქნეს გათვალისწინებული სპორტის ყველა სხვა დისციპლინაში (გარდა მძლეოსნობის, ტანვარჯიშის და მოძრავი თამაშების სასწავლო კურსებისა, რომლებიც უნდა დარჩეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში).
5. სასურველია, საჭიროებიდან გამომდინარე, ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტში პროგრამას დაემატოს ფიტნესის, სპორტული კვების, სპორტული მასაჟის, სპორტის სამართლის, სპორტული ტრავმების დროს პირველადი დახმარების და სპორტული ტურიზმის კურსები. ასევე, თავისუფალი კომპონენტის

ფარგლებში კი შეეთავაზოს აკადემიური წერისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო კურსები.

6. მიზანშეწონილია, „თვალსაჩინოების კინოციკლოგრაფიული და ვიდეო მაგნიტოფონური დემონსტრირების“ მეთოდის ნაცვლად გამოყენებული იყოს „ციფრულ საშუალებათა გამოყენების მეთოდი“.
7. მიზანშეწონილია გაძლიერდეს ადგილობრივ/საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;
8. მიზანშეწონილია გაძლიერდეს სტუდენტებთან უკუკავშირი.
9. მიზანშეწონილია გაძლიერდეს საერთაშორისო აქტივობებში, კერძოდ კი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები.
10. მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ.
11. მიზანშეწონილია პროგრამის შეფასებისას კომპლექსურად იყოს განხილული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის დადასტურების შესაძლებლობას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამაში განხორციელებული ძირითადი ცვლილებები:

- დაიხვეწა პროგრამის სტრუქტურა, მათ შორის შეიცვალა პროგრამამის კომპონენტების თანამიმდევრობა და ლოგიკური წყობა, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით;
- სასწავლო კურსები „ადამიანის ანატომია I“ და „ადამიანის ანატომია II“ ჩანაცვლდა ხუთ-კრედიტიანი სასწავლო კურსით „ადამიანის ანატომია“;
- პროგრამის სასწავლო გეგმას ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დაემატა პრაქტიკის კომპონენტი;
- პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამის სილაბუსებში მიეთითა სპორტის სფეროსათვის დამახასიათებელი სწავლა/სწავლების პრაქტიკული მეთოდები და შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამაზე დაშვება წინაპირობის სახით ითვალისწინებს დაწესებულების მიერ დადგენილ კონკურს - სპორტულ ტურს, რომლის ჩატარება რეგულირდება შესაბამისი ინსტრუქციით;
- პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალი გაძლიერდა კვალიფიციური მოწვეული სპეციალისტებით.

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხი და თანდართული დოკუმენტები და ჩამოყალიბდა შემდეგზე:

- *„რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული კურსების კრედიტების რაოდენობის ოპტიმიზაცია, კერძოდ: შემცირდეს მძლეოსნობის კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტთა რაოდენობა და დარჩეს „მძლეოსნობა-1“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა-2“ (5 კრედიტი); „ტანვარჯიში-1“ და „ტანვარჯიში-2“ გახდეს 5-5 კრედიტიანი; „მოძრავი თამაშები“ გახდეს 5 კრედიტიანი“.*

  - ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას პოზიცია არ დაუფიქსირებია. შესაბამისად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„რეკომენდებულია, „სპორტული წვრთნის საფუძვლების“ ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსები „სპორტული წვრთნის საფუძვლები-1 (5 კრედიტი) და „სპორტული წვრთნის საფუძვლები-2“ (5 კრედიტი)“.*

  - ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ გაიზიარა დაწესებულების პოზიცია, თუმცა უცვლელად დაატოვა რეკომენდაცია „სპორტული წვრთნის საფუძვლები-1“ და „სპორტული წვრთნის საფუძვლები-2“-თან მიმართებით, რადგან აღნიშნული სრულად უზრუნველყოფს სპორტულ წვრთნაში თეორიული კომპეტენციების ჩამოყალიბებას. დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია ჩამოყალიბდა ზემოთ მითითებული ფორმით.

- *„რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც უზრუნველყოფილი იქნება პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება; სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინაში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება, პრაქტიკის ობიექტზე, სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.)“.*

  – იმის გათვალისწინებით, რომ ვიზიტამდე წარმოდგენილ ინფორმაციაში, მითითებული იყო ორი მემორანდუმი საჯარო სკოლასთან (N3 და N9), ხოლო დამატებითი მემორანდუმები დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ მოხდა ახლად წარმოდგენილი ინფორმაციის გათვალისწინება. დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ახალი გამოცემებით შევსების/ჩანაცვლების საკითხზე“.*

  - ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას პოზიცია არ დაუფიქსირებია. დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„რეკომენდებულია, წინაპირობის სახით მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებიც რეალურად აუცილებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის“.*

  - ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას პოზიცია არ დაუფიქსირებია. დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„პრაქტიკული დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება, თუნდაც ერთი კონკრეტული სასწავლო კვირისათვის“.*
  - ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას პოზიცია არ დაუფიქსირებია. დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„განხორციელდეს სილაბუსებში მითითებული წრიული წვრთნის მეთოდის ამოღება ან იმავე სილაბუსებში დეტალურად განიმარტოს მისი გამოყენების საჭიროება“.*
  - ამ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულებას პოზიცია არ დაუფიქსირებია. დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„რეკომენდირებულია, რომ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურმა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს სტუდენტებთან მუშაობის ახალი მექანიზმები“.*
  - არგუმენტირებულ პასუხში თავად დაწესებულება აღნიშნავს, რომ „სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს აწვდის ინფორმაციას რეგიონში არსებული ვაკანსიების თაობაზე, და ბუნებრივია, რომ რიგ შემთხვევებში არსებული ვაკანსიები შესაძლოა, ყოველთვის არ იყოს სრულ თანხვედრაში სპორტის პროგრამის სტუდენტთა პროფილის შესაბამის ორგანიზაციებთან“. ასევე, დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პასუხში ჩამონათვალის სახით წარმოდგენილია სხვადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობები (შიდა ჩემპიონატები ფრენბურთში, ჭადრაკში და ა.შ.). ზემოთ აღნიშნული არ წარმოადგენს პროგრამის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციიდან (სპორტის ბაკალავრი) გამომდინარე კარიერული განვითარების ნიშნით (უშუალოდ დასაქმებისა და კარიერული განვითარების) ხელშემწყობ და მხარდამჭერ აქტოვობებს,. ასეთი იქნებოდა მაგალითად, შესაბამისი ვაკანსიების მოძიება; სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დამსაქმებლებთან დაკავშირება; კარიერული განვითარებისკენ მიმართული სხვადასხვა ტრენინგის ჩატარება და ა.შ. შესაბამისად, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„რეკომენდებულია პროგრამის ყველა კომპონენტის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი ამ კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ - პრაქტიკული დისციპლინების ყოველი ცალკეული სასწავლო კურსი (თეორიული თუ არა, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დონეზე მაინც) წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა და ეს დადასტურდეს სილაბუსებსა და ხელშეკრულებებში“.*
  - დაწესებულების მიერ დამატებით (არგუმენტირებული პასუხის დანართად) ცნობების სახით იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ირაკლი ჩაჩიბაიასა და ბექა ტატალაშვილის საჯარო სკოლაში მუშაობის შესახებ, კერძოდ:
    - ირაკლი ჩაჩიბაიას კომპეტენცია - პრაქტიკული ნიშნით - დადასტურდებოდა მხოლოდ ისეთი დოკუმენტის წარმოდგენით (მაგ. საქართველოში ჩატარებული თუნდაც რამოდენიმე შეჯიბრების პრიზიორობის დამადასტურებელი მედლები/სერტიფიკატები; ანდა, შესაბამისი სპორტის სახეობის მიმართულებით დამსახურებული მწვრთნელის წოდების დამადასტურებელი ცნობა ან/და სხვა, საიდანაც გაირკვეოდა, რომ ეს პირი (იგივე ითქმის ბექა ტატალაშვილზეც) უშუალოდ როგორც სპორტსმენი ვარჯიშობდა და იწვრთნებოდა - მინიმუმ რამდენიმე (მაგ., 3-4) წელი მაინც სპორტის მოცემულ სახეობაში, ურომლისოდაც

პრაქტიკული ნიუანსების რამდენადმე ღრმა ცოდნა (თუ წვრთნის პროცესი თვითონ არ აქვს პირს წლების განმავლობაში გავლილი) - ძნელად წარმოსადგენია. მხოლოდ სკოლიდან წარმოდგენილი ცნობა ვერ იქნება იმის დამამტკიცებელი, რომ პირი როგორც ფეხბურთში, ისე ჩოგბურთში თანაბრად კვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტია; აქვე, გასათვალისწინებელია, რომ ფეხბურთი სპორტის გუნდური სახეობაა, ჩოგბურთი ძირითადად, ინდივიდუალური. ეს გარემოება სპორტის ამ ორ სახეობას შორის არსებით სხვაობაზე მიუთითებს.

- გიორგი მძინარიშვილის შემთხვევაში, ეჭვქვეშ არ დგება გარემოება, რომ ის თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს თასის მფლობელია, თუმცა დოკუმენტებიდან არ ჩანს, რომ მას როგორც ყოფილ სპორტსმენს, გააჩნია ქართულ ჭიდაობაში თუნდაც რამოდენიმე წლიანი წვრთნის გამოცდილება, რის გარეშე ქართული ჭიდაობის პრაქტიკული ნაწილის წაყვანა (ქართული ჭიდაობის ილეთების მაღალ დონეზე ჩვენების შესაძლებლობა, ქართული ჭიდაობის პრაქტიკული „საიდუმლოებების“ ცოდნა) - ძნელად წარმოსადგენია. ის ფაქტი, რომ მას დისერტაციაში ქართული ჭიდაობა აქვს განხილული და საკონფერენციო სტატიაც აქვს ამ მიმართულებით გამოქვეყნებული, მიუთითებს მის კომპეტენციაზე თეორიული ნიშნით ამ სფეროში, და არა სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებაზე ქართულ ჭიდაობაში (ამ შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა, მაგალითად, დამსახურებული მწვრთნელის წოდება ქართული ჭიდაობის მიმართულებით; და/ან როგორც ყოფილი სპორტსმენის მიერ, ქართულ ჭიდაობაში მოპოვებული მედლები/სიგელები ან/და სხვა, საიდანაც გაირკვეოდა, რომ ეს პირი (იგივე ითქმის ბექა ტატალაშვილზეც) უშუალოდ როგორც სპორტსმენი ვარჯიშობდა და იწვრთნებოდა რამდენიმე წელი მაინც სპორტის მოცემულ სახეობაში და ა.შ.). ის გარემოება, რომ „ძიუდო 1“-ის და „ძიუდო 2“-ის, თეორიულ ნაწილებს წარმართავს გიორგი მძინარაშვილი, ხოლო პრაქტიკულ ნაწილს წარმართავს ამ სფეროში მართლაც ძალიან წარმატებული და კარგი პრაქტიკოსი სპეციალისტი ანზორ თენაძე, სრულიად მისაღებია... ანალოგიურად, ქართული ჭიდაობის თეორიული ნაწილი შეიძლება წარმართოს გიორგი მძინარაშვილმა და ქართული ჭიდაობის პრაქტიკული ნაწილი, უშუალო პრაქტიკოსმა სპეციალისტმა ამ სფეროში (მაგ., ანზორ თენაძემ).

  არგუმენტირებულ პასუხში არ არის დაფიქსირებული პოზიცია, ექსპერტთა დასკვნის პროექტში მითითებულთან დაკავშირებით - „ერთი და იგივე პირი კითხულობს სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიას, ფიზიკური აღზრდის თეორიას, სპორტის თეორიას, მოძრავ თამაშებს, სპორტული წვრთნის საფუძვლებს და სპორტის მენეჯმენტს (ეს უკანასკნელი კურსი - სპორტის მენეჯმენტი - რადიკალურად განსხვავებულია წინა კურსებისაგან; თუმცა წინა კურსებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან)“, და არც დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, რომლითაც დადასტურდებოდა მისი კომპეტენცია სპორტის მენეჯმენტის მიმართულებით.

  ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

- *„რეკომენდებულია, მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული და დოკუმენტირებული უშუალოდ პროგრამისთვის გამოყოფილი და პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფინანსური რესურსები“.*

- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ცენტრალური ბიუჯეტიდან და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან არ იკვეთება უშუალოდ სპორტის საბაკალავრო პროგრამის შენახვის, განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი/დაგეგმილი თანხები. შესაბამისად, ექსპერტები ვერ ინსჯელებდნე, რადმდენად არის უზრუნველყოფილი სტანდარტის #4.4. კომპონენტის მოთხოვნა: „ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს“.

ვიზიტის შემდგომ, არგუმენტირებული პასუხის დანართად, დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის ბიუჯეტი. ეს დოკუმენტი ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ექსპერტების მიერ შემდეგი გარემოებების გამო: პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილი იყო ვიზიტის დასრულების შემდგომ (არგუმენტირებულ პასუხის დანართად); დოკუმენტი (იქ მითიღებული ინფორმაცია) არ არის დადასტურებული უფლებამოსილი პირის მიერ და არ წაროადგენს ოფიციალურ ინფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია მოამზადოს სპორტის ბაკალავრის კვალიფიკაციის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტი, შეასწავლოს სპორტის სხვადასხვა სახეების თეორიული საფუძვლები, გამოუმუშაოს სპორტის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისთვის შესაბამისი მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევები, ხელი შეუწყოს სპორტის თეორიების კომპლექსური საკითხების გაცნობიერებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარის განვითარებას. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების სტრატეგიასთან და მისიასთან, არის საჯარო და ხელმისაწვდომი (პროგრამა განთავსებულია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, ბიბლიოთეკაში). პროგრამის მიზნები არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მათი მიღწევა უზრუნველყოფილია პროგრამის შინაარსით. პროგრამის პრაქტიკული ნაწილი მოიცავს სტუდეტენტების აქტიურ ჩართულობას უშუალოდ სპორტული განათლების პროცესში, პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას, სტუდენტმა შეისწავლოს ის მეთოდები და ტექნიკები, რისი შესრულებაც მათ მოუწევთ შემდგომში პროფესიული მუშაობის დროს და შეიძინოს შესაბამისი უნარ-ჩვევები. პროგრამის მიზნების რეალიზების შედეგად შესაძლებელი იქნება სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურზე და დასაქმება სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებსა და კლუბებში, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგებში. ზოგადად, პროგრამის მიზნები მიღწევადია. პროგრამის მიზნები შემუშავებული და გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებლების მიერ, რაც დასტურდება მათთან ინტერვიუს შედეგებით. პროგრამა გარკვეულწილად თავსებადია უცხოეთის პარტნიორი დაწესებულების - ლატვიის სპორტის განათლების აკადემიის პროგრამასთან, რაც იძლება სტუდენტებისა და პერსონალისთვისა გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს ოქმი №09-118 , 03.09.2014 დადგენილებით; ცვლილება დამტკიცება - ოქმი №6-41 27.09.2021 დადგენილებით) - პროგრამის კურიკულუმი და შედეგების რუკა;

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- დაწესებულების მისია;
- ინფრასტრუქტურის და მატერიაკურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგები;
- ლატვიის სპორტის განათლების აკადემიასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ლატვიის სპორტის განათლების აკადემიის პროგრამასთან დადარების დოკუმენტი (დამატებით წარმოდგენილი);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობებში არსებული ზოგადი ჩანაწერი დაკონკრეტდეს კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის შესწავლის შედეგად. პროგრამის კურსდამთავრებული:

1. აღწერს სპორტის მეცნიერების ჩამოყალიბებისა და განვითარების ტენდენციებს, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიის, სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიის, ფსიქოლოგიის, მედიკო-ბიოლოგიური მეცნიერებების და სპორტის სხვადასხვა სახეობების (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჭიდაობა, კალათბურთი, ცურვა, ჭადრაკი და სხვა) სპეციფიკას;
2. განსაზღვრავს ზოგადი და სპორტის ჰიგიენის, სპორტული წვრთვნის საფუძვლების, სპორტის მენეჯმენტის, ბიომექანიკის ძირითად ცნებებს, კონცეფციებს, პრინციპებსა და თეორიებს და პრობლემურ საკითხებს, ასევე პროფესიის მნიშნელობას, მიზნებსა და ძირითად ფუნქციებს.
3. ამოიცნობს სპორტის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებულ პრობლემებს და

იყენებს სპორტის სფეროში არსებულ შემოქმედებითი, ლოგიკური ანალიზის მეთოდებსა და პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად;

4. ახდენს მოძრავი თამაშების და სპორტის სხვადასხვა სახეობების (ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჭიდაობა, კალათბურთი, ცურვა, ჭადრაკი და სხვა) ტექნიკური ელემენტების დემონსტრირებას;
5. აგროვებს და განმარტავს სპორტისთვის დამახასიათებელ მონაცემებს, აანალიზებს განყენებულ მონაცემებს და აყალიბებს სათანადო დასკვნებს, შესაბამისი სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;
6. მსჯელობს შესაბამისი ტერმინოლოგიით საკუთარი იდეების, სპორტის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში იყენებს ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიებს.
7. შეიმუშავებს სპორტის სფეროში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
8. ცოდნის მუდმივად განახლების გზით ანვითარებს საკუთარ პროფესიულ უნარებს, კომპეტენციის არეალს, შეუძლია შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
9. პროფესიული საქმიანობისას მოქმედებს ეთიკის პრინციპების დაცვით სათანადო პასუხისმგებლობით.

დაწესებულებას შემუშავებული დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება №09-20, 23.03.2018, ცვლილებები - დადგენილება №6-28, 20.06.2019), რომელიც აღწერს პროგრამის შედეგების შეფასების პროცედურებს და მექანიზმებს. ამ დოკუმენტის თანახმად, სწავლის შედეგების შეფასება ხდება როგორც პროგრამის განხორციელების პროცესში, ისე პროგრამის მთლიანი ციკლის დასრულების შემდგომ. პროგრამის შეფასება მოიაზრებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებას. ასევე, უშუალოდ აკრედიტაციაზე წარდგენილი პროგრამისთვის შემუშავებულია „სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ (2021-2022), რომელშიც მითითებულია სწავლის შედეგები, ამ შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, სამიზნე ნიშნულები, შეფასების მეთოდები და სხვ.

პროგრამის შინაარსი მიმართულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ - პროგრამის კომპონენტები ეფუძნება დარგში არსებულ გამოცდილებებს, შესწავლის თანმიმდევრობით, შინაარსით და მოცულობით (კრედიტების რაოდენობით), სწავლებისა და შეფასების მეთოდებით უზრუნველყოფენ როგორც ამ კომპონენტით, ისე მთლიანობაში პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას #2 დანართად ერთვის „სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა“, რომელშიც მითითებულია პროგრამის შედეგები და ამ შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები.

პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღწერით განსაზღვრულ კომპეტენციების დონესთან, თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დაადასტურეს დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს.

ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სხვადასხვა ფორმით ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენ-

ტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს და მონაწილეობს სწავლის შედეგების შედგენის და ანალიზის პროცესში. ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/ganatlebis-zust-da-sabunebismetyvelo/sports1 და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის კურიკულუმი; • პროგრამის კურიკულუმის დანართი #2 - „სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის რუკა“; • „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მექანიზმები“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება №09-20, 23.03.2018, ცვლილებები - დადგენილება №6-28, 20.06.2019); • „სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა“ (2021-2022); • დოკუმენტი „შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან ბმაში“; • სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამსაქმებელთა გამოკითხვა; • ვებ-გვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელს. პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (გამოცდა მათემატიკაში ან ისტორიაში,) ან ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე, პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლიათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს. პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია შიდა მობილობით, რომლის პროცედურა განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (https://www.gu.edu.ge/ge/vocational-education-center/regulations/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi). პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა გაიაროს დაწესებულების მიერ დადგენილი სავალდებულო კონკურსი - სპორტული ტური, რომლის გავლის წესებს და პროცედურებს არეგულირებს პროგრამაზე მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ჩატარების ინსტრუქცია (https://gu.edu.ge/uploads/other/12/12594.pdf), რაზეც ინტერვიუს დროს დეტალურად ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელმა. სპორტულ ტურთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული მოსაზრებები: რადგანაც პროგრამაზე სტუდენტები მოდიან განსხვავებული სამწვრთნელო გამოცდილებით (ზოგს კალათბურთში აქვს ნავარჯიშევი სკოლის პერიოდის განმავლობაში, ზოგს ცურვაში და ა.შ., რის გათვალისწინებითაც სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენელთა სპორტული უნარების შედარება ერთიანი სტანდარტული ჩარჩოთი გარკვეულ ზოგად ხასიათს ატარებს), ამიტომ უმჯობესია სპორტული ტურის ნორმატივები შემუშავდეს ცალკეული სპორტის სახეების გათვალისწინებით (ე.ი. კონკურსი/შიდა სპორტული ტური გაიმართოს არა ყველა აბიტურიენტს შორის, არამედ სპორტის კონკრეტული სახეობის წარმომადგენელთა შორის - ძიუდოისტთა შორის, მოკრივეთა შორის და ა.შ. მათთვის გაწერილი და სპორტის სახეობებისთვის მორგებული ნორმატივების საფუძველზე) და შესაბამისად, სპორტული ტური ჩატარდეს არა საერთო ფიზიკურ მომზადებაში, არამედ სპეციალურ	

ფიზიკურ მომზადებაში, რომელიც უფრო ზუსტი ინდიკატორი იქნება ინდივიდის სპორტული უნარ-ჩვევების და პოტენციალის გამოსავლენად.

ინფორმაცია პროგრამის და პროგრამაზე მიღების პროცედურების შესახებ საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის (განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ვებ-გვერდი, დათვალიერების თარიღი: 16.02.2022);
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ჩატარების ინსტრუქცია და სპორტული ტურის ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, სპორტული ტურის ნორმატივები შემუშავდეს სპორტისცალკეული სახეების მიხედვით (მათთვის ინდივიდუალურად გაწერილი და სპორტის სახეობებისთვის მორგებული ნორმატივების საფუძველზე) და შესაბამისად, სპორტული ტური ჩატარდეს არა საერთო ფიზიკურ მომზადებაში, არამედ სპეციალურ ფიზიკურ მომზადებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით ბაკალავრიატის პროგრამებისთვის დადგენილ მოთხოვნებს.

პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერსის სისტემით (ECTS). პროგ-

რამის მოცულობაა 240 კრედიტი. ერთი კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც მოიაზრება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათები. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა მოიცავს თავისუფალ და სწავლების ძირითადი სფეროს კომპონენტებს. ორივე კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან, უზრუნველყოფილია არჩევანის შესაძლებლობა. პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს ეთმობა 150 კრედიტი, თავისუფალ კომპონენტს - 90 კრედიტი.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (ჯამში 138 კრედიტი) ისეთნაირად არის შერჩეული, რომ უზრუნველყოფს სტუდენტისადმი სპორტის სფეროს შესახებ ფართო ცოდნის მიწოდებას (ფიზიკური აღზრდის თეორია, სპორტის მენეჯმენტი, სპორტის ფსიქოლოგია, სპორტის ფიზიოლოგია და ა.შ.). ამ კურსთაგან უმრავლესს, მინიჭებული აქვს 5 კრედიტი, რაც აღნიშნულ კურსთა სპეციფიკის გათვალისწინებით საკმარისია. თუმცა აქ ვხვდებით ერთგვარ შეუსაბამობას. კერძოდ: თითოეულმა სტუდენტმა ზოგადი ნიშნით სამ კონკრეტულ მართლაცდა სასარგებლო და მნიშვნელოვანი კურსის (მძლეოსნობა, ტანვარჯიში და მოძრავი თამაშები) გარდა, კიდევ დამატებით სავალდებულოდ უნდა გაიაროს ქართული ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა 1-2, კალათბურთი, ძიუდო 1-2, ცურვა და ჭადრაკი. ესენი სპორტის სპეციფიკური სახეებია და ამის გამო დიდი რისკი იქნება ტრავმირების (განსაკუთრებით ჭიდაობის სახეებში), გარდა ამისა, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ზემოთდასახელებული ყველასთვის ადვილად გასავლელი სპორტის სამი სახეობისაგან (მძლეოსნობა, ტანვარჯიში და მოძრავი თამაშები). აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ მძლეოსნობა და ტანვარჯიში და მათში წარმოდგენილი მძლეოსნური და ტანვარჯიშული ვარჯიშები, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ფიზიკური მომზადების გამოყენების მიზნით, თანაბრად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. აღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა გამოსწორდეს პროგრამაში ამ ორ კონკრეტულ კურსებს შორის არსებული კრედიტობრივი დისპროპორცია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასევე მოძრავი თამაშების კურსის არსებობაც პროგრამაში; მოძრავ თამაშთა ასევე განსაკუთრებული ეფექტურობის გამო, სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადების მიზნით, და ზოგადად, მოზარდთა ჯანსაღი წესის ფორმირების ხელშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია ამ კურსისთვის გამოყოფილი კრედიტიც მცირედად გაიზარდოს.

მეორე მხრივ, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან (ჯამში 12 კრედიტი) სტუდენტებს შეეთავაზებათ მხოლოდ 6 კონკრეტული კურსი (ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, კრივი, რაგბი). თოთოეულ კურსს დათმობილი აქვს 3 კრედიტი, რომელიც ძალიან მცირეა იმისათვის, რომ სტუდენტმა სპორტის პრაქტიკული დისციპლინა აითვისოს. იმისათვის რომ პროგრამამ ასეთი ზოგადი ფორმატიდან გადაინაცვლოს უფრო კონკრეტულ ასპექტებზე, უფრო კონკრეტული ცოდნა მისცეს ბაკალავრს, რომელიც მას შემდგომ უფრო უკეთ გამოადგება დასაქმების კუთხით (პირველ ყოვლისა, მწვრთნელად დასაქმების კუთხით), საჭირო იქნება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკის დამატებითი გაძლიერება. ამით ხელი შეეწყობათ სტუდენტებს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი უფრო გამრავალფეროვნებული სასწავლო კურსებიდან სწორედ მათთვის სასურველი სპორტის სახეობა აირჩიონ, არ იყვნენ ამ არჩევანში შეზღუდული. ეს არჩეული კურსი მათ აძლევდეთ გაცილებით უფრო მეტ და სიღრმისეულ ცოდნას (კრედიტების მომატების ხარჯზე). ასევე სასარგებლო იქნება ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტთა ოპტიმიზაცი და დამატებით, სპორტისთვის საინტერესო კურსების შემოტანა, მაგალითად, ზოგადი ფსიქოლოგია, რომელიც პროგრამაში

არსებული „სპორტის ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსის წინაპირობაა. ასევე, მიზანშეწონილია სპორტული წვრთნის საფუძვლების კურსისთვის კრედიტების გაზრდა და ა.შ.

პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტს (5 კრედიტი), რომელიც სილაბუსის თანახმად მიზნად ისახავს გააცნოს სპორტის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობა და მათი ფუნქციები; ხელი შეუწყოს იმ უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია სპორტის სფეროში საქმიანობისთვის; სტუდენტს გამოუმუშაოს სპორტულ ორგანიზაციაში მდგარი კომპლექსური პრობლემების ფორმულირების, კლასიფიცირების, მათ გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდებისა და ოპერატიული გადაწყვეტილებების შერჩევის, შეფასების და ანალიზის უნარი. ამავდროულად, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მემორანდუმებიდან და პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ პრაქტიკის ერთ-ერთ ობიექტად მოიაზრება საჯარო სკოლები (N 3 და N9) და არა მხოლოდ სპორტული კლუბი/ფედერაცია/ორგანიზაცია, რაც ნაკლებად რელევანტურია ზემოთ მითითებული პრაქტიკის მიზნებისათვის (პრაქტიკის კომპონენტის სკოლაში წარმართვის ფაქტი, სტუდენტების მხრიდანაც დადასტურდა, მათთან გასაუბრების შედეგად).

პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევადობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარის განვითარება, რაც, თავის მხრივ, წარმატებული პროფესიული საქმიანობის წინაპირობას წარმოადგენს. დამსაქმებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულებს შედარებით ნაკლებად აქვთ განვითარებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკას თუნდაც სპორტის სხვადასხვა სახეობების ფედერაციებში, სპორტულ კლუბებში, გამაჯანსაღებელ ბანაკებსა და/ან კლუბებში - კურიკულუმისა და პრაქტიკის სილაბუსის განხილვით, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებთან შეხვედრით გამოიკვეთა, რომ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა (5 კრედიტი), მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტს სპორტის სფეროში მოქმედი ორგანიზაციების საქმიანობა და მათი ფუნქციები, ხელი შეუწყოს სპორტის სფეროში საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევებისა და შესაძლებლობების განვითარებას, გამოუმუშაოს სპორტულ ორგანიზაციაში მდგარი კომპლექსური პრობლემების ფორმულირების, კლასიფიცირების, მათ გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდებისა და ოპერატიული გადაწყვეტილებების შერჩევის, შეფასების და ანალიზის უნარი. განხორციელების ობიექტს ძირითადად წარმოადგენს საჯარო სკოლა და არა სპორტული კლუბი/ფედერაცია/ორგანიზაცია, რას პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეხვედრამაც დაადასტურა. ამ ფორმით განორციელებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული მიზნების რეალიზებას და დაგეგმილი შედეგების მიღწევას. გარდა ამისა, სკოლაში პრაქტიკის გავლის შედეგად მიღებული გამოცდილება ნაკლებად აქტუალურია კურსდამთავრებულის დასაქმებისთვის, რადგან სკოლა არ წარმოადგენს პროგრამის კურსდამთავრებულისთვის დასაქმების ობიექტს.

ზემოთ მითითებული გარემოებები ამცირებს პროგრამის მიზნების სრულად მიღწევისა და შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას, რაც გასათვალისწინებელია დაწესებულების მიერ.

დოკუმენტების შესწავლის და ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში დადგენილი წესების მიხედვით, პროგრამა ყოველწლიურად გადის შეფასების პროცესს; საჭიროების შემთხვევაში იგეგმება და ინერგება გარკვეული ცვლილებები პროგრამის აქტუა-

ლობის, დარგის მოთხოვნებთან შესაბამისობის და პროგრამის სხვადასხვა ასპექტების გაუმჯობესების მიზნით. აქედან გამომდინარე, ამ პროცესში მიზანშეწონილია ყურადღება გამახვილდეს ზემოთ მითითებულ გარემოებებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.
- პროგრამის კურიკულუმის დანართი #2 „პროგრამის შედეგების რუკა“;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია;
- სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის ოპტიმიზაცია, კერძოდ: შემცირდეს მძლეოსნობის კურსებისთვის გამოყოფილ კრედიტთა რაოდენობა და დარჩეს „მძლეოსნობა-1“ (5 კრედიტი) და „მძლეოსნობა-2“ (5 კრედიტი); „ტანვარჯიში-1“ და „ტანვარჯიში-2“ გახდეს 5-5 კრედიტიანი; „მოძრავი თამაშები“ გახდეს 5 კრედიტიანი.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის - „სპორტული წვრთნის საფუძვლების“ ნაცვლად პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კურსები „სპორტული წვრთნის საფუძვლები-1 (5 კრედიტი) და „სპორტული წვრთნის საფუძვლები-2“ (5 კრედიტი).
- რეკომენდებულია, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ობიექტებზე, სადაც იქნება უზრუნველყოფილი პრაქტიკის მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და გამოცდილების მიღება. სადაც მოხდება სპორტის პრაქტიკულ დისციპლინაში მიღებული თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების რეალიზება, პრაქტიკის ობიექტზე, სტუდენტის ფუნქციით და მოზარდებთან მუშაობის გზით (სადაც ყურადღება გამახვილდება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარებაზე, სამწვრთნელო საკითხებზე და ა.შ.).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ნაწილში წარმოდგენილი სასწავლო კურსები „ქართული ჭიდაობა“, „თავისუფალი ჭიდაობა 1, 2“, „კალათბურთი“, „ძიუდო 1, 2“, „ცურვა“ და „ჭადრაკი“ გადატანილ იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილში;
- მიზანშეწონილია „ფეხბურთის“, „ჩოგბურთის“, „ხელბურთის“, „ფრენბურთის“, „კრივის“ და „რაგბის“ 3-კრედიტიანი სასწავლო კურსები გახდეს 5 კრედიტიანი და ყოველი ასეთი სპორტული სპეციალიზაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით ნაწილში, ერთი კურსის ნაცვლად წარმოდგენილ იქნეს სამი 5-5 კრედიტიანი სასწავლო კურსების სახით. მიზანშეწონილია ანალოგიური მიდგომა იქნეს გათვალისწინებული სპორტის ყველა სხვა დისციპლინაში (გარდა მძლეოსნობის, ტანვარჯიშის და მოძრავი თამაშების სასწავლო კურსებისა, რომლებიც უნდა დარჩეს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ნაწილში).
- სასურველია, საჭიროებიდან გამომდინარე, ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტში პროგრამას დაემატოს ფიტნესის, სპორტული კვების, სპორტული მასაჟის, სპორტის სამართლის, სპორტული ტრავმების დროს პირველადი დახმარების და სპორტული ტურიზმის კურსები. ასევე, თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში კი შეეთავაზოს აკადემიური წერისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო კურსები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თითოეული კომპონენტის სწავლის შედეგები შეესაბამება ბაკალავრიატის დონეს. პროგრამის სწავლის ძირითადი სფეროს კომპონენტის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან (წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების პროგრამის შედეგების რუქის სახით. პროგრამის ყოველი კომპონენტის სწავლის შედეგი აღწერს, რა სახის ცოდნას, უნარებისა და/ან პასუხისმგებლობა/ავტონომიურობას აყალიბებს და/ან ავითარებს ის. პროგრამის კომპონენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია (კომპონენტის მოცულობა, სტუდენტის დატვირთვა, სწავლების და შეფასების მეთოდები, გამოყენებული საქხელმძღვანელოები და სხვ.) მითითებულია შესაბამის სილაბუსებში. სილაბუსების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი კურსი განიცდის ლიტერატურის მცირედ ნაკლოვანებას და სასურველია ამ მიმართულებით მათი გაძლიერება და მათ შორის განახლება, მაგალითად ასეთი წიგნები შეიძლება იყოს: • სასწავლო კურსს „სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორია“- ძირითად ლიტერატურად დაემატოს „ყველაფერი ოლიმპიურ თამაშებზე“ 2018 (გურამ ძაგანია). • ფეხბურთის სილაბუსში, ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალს დაემატოს 1. ფეხბურთი, VII-XII კლასები. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, 2014 (თენგიზ რატიანი, თამაზ ჯაში); და ასევე 2. ფეხბურთი, მეთოდური რეკომენდაციები, 2017 (თამაზ ჯაში). • ცურვის სილაბუსს დაემატოს „საწყალოსნო სპორტის სახეობები“, 2018 (დავით ყარანგოზაშვილი, ედუარდ ფეროიანი); ასევე, წიგნი სახელწოდებით „სპორტული ცურვა“ (წიგნი 1), 2019 (ედუარდ ფეროიანი). • ჭადრაკის სილაბუსს დაემატოს მერაბ თხელიძის სახელმძღვანელო: „შევისწავლოთ ჭადრაკი“ (2018). ასევე მიზანშეწონილია, დაზუსტდეს ზოგიერთ სასწავლო კურსში დაშვების წინაპირობების საკითხი, რადგან მაგალითად, სტუდენტს, რომელიც ძიუდოს გავლას გადაწყვეტს, არ უნდა მოეთხოვებოდეს წინაპირობად ქართული ჭიდაობის გავლა, რადგანაც ძიუდოს ასათვისებლად არ არის აუცილებელი (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი)

ქართული ჭიდაობის გავლა. იგივე ითქმის თავისუფალი ჭიდაობა - 1-ის სილაბუსში ქართული ჭიდაობის წინაპირობად ჩართვაზე და ა.შ. ამის სანაცვლოდ, „ქართული ჭიდაობა-2“-ის წინაპირობა უნდა იყოს მხოლოდ „ქართული ჭიდაობა-1“, „ქართული ჭიდაობა 3“-ის წინაპირობა უნდა იყოს „ქართული ჭიდაობა-2“ - მეტი სხვა წინაპირობა ასეთ ლოგიკურ ბმაში არსებლ სასწავლო კურსებს არ ესაჭიროება. ანალოგიური მიდგომა უნდა გავრცელდეს ყველა სხვა კურსზეც, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების განაყოფში.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა, შინაარსი და სწავლების მეთოდოლოგია შეესაბამება კურსის სირთულესა და მისაღწევ შედეგებს. ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებლებმა ისაუბრეს პროგრამის კომპონენტების შემუშავებისა და სწავლების პროცესზე, პროგრამის კომპონენტების თავისებურებებზე და მათ მნიშვნელობაზე პროგრამისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი. პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- პროგრამის შედეგების რუკა;
- ვიზიტის დროს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსების დათვალიერება;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ყურადღება გამახვილდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ახალი გამოცემებით შევსების/ჩანაცვლების საკითხზე.
- წინაპირობის სახით მიეთითოს მხოლოდ ის სასწავლო კურსები, რომლებიც რეალურად აუცილებელია კონკრეტული სასწავლო კურსის შესწავლისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტთა განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით. სპორტის პროგრამისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრაქტიკული უნარები, მათი მიღწევა და განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამის ფარგლებში - სასწავლო კურსები მოიცავს როგორც სალექციო, ისე პრაქტიკულ მეცადინეობებს, რომლებიც მიმართულია

სპორტულ-მოძრაობითი უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე და წარიმართება შესაბამის დარბაზებსა და მოედნებზე. სასწავლო კურსებში არსებული პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და პრაქტიკული უნარების დახვეწა შესაძლებელია პრაქტიკის ობიექტებზე და სხადასხვა ექსტრაკურიკულური აქტივობების სახით. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგებით. სტუდენტთა შემეცნებითი უნარების განვითარებისა და ამ პროცესში სტუდენტების ჩასართავად, დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს მრავალ ადგილობრივ კონფერენციას. სტუდენტები მონაწილეობენ ასევე უნივერსიტეტთაშორისო კონფერენციებშიც, რაზეც ვიზიტის დროს დეტალურად ისაუბრეს რექტორმა, ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა. დაწესებულების წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; • მემრანდუმები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის შესწავლისას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია პროგრამის კურიკულუმში და დაკონკრეტებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში. სწავლება-სწავლის პროცესი მოიცავს შესაბამის მეთოდებს და აქტივობებს, მათ შორის: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ასევე, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზუსტად რეგლამენტირებული ვარჯიშების მეთოდები, ვარჯიშის მთლიანობაში და ნაწილ-ნაწილ შესწავლის მეთოდები, ცვალებადი ვარჯიშობის მეთოდი, კომბინირებული ვარჯიშების მეთოდი, წრიული წვრთნის მეთოდი, თვალსაჩინოების, კინოციკლოგრაფიული და ვიდეომაგნიტოფონური დემონსტრირების მეთოდები. პროგრამაში ჩართული პერსონალი დამოუკიდებლად ირჩევს იმ მეთოდებს, რომლებიც

შესაბამისია კურსის სწავლების სპეციფიკის და ინფორმაციას სწავლების მეთოდების შესახებ ასახავს სილაბუსებში. სილაბუსების შესწავლის შედეგად, გარკვეულ შემთხვევებში, ფიქსირდება გასაუმჯობესებელი ასპექტები/მცირე ხარვეზები, კერძოდ: ნახსენებია, მაგალითად, „თვალსაჩინოების კინოციკლოგრაფიული და ვიდეო მაგნიტოფონური დემონსტრირების მეთოდი“, თუმცა, კვირების თემატიკის შინაარსი ზოგ შემთხვევაში ამ მეთოდის გამოყენების აუცილებლობის არ ადასტურებს ან/და არ არის დაზუსტებული, კონკრეტულად რომელ კვირას, რომელი თემატიკის შესწავლის მიზნით გამოიყენება აღნიშნული მეთოდი. ზოგიერთ სილაბუსში ნახსენებია წრიული წვრთნის მეთოდი, რომელიც ძირითადად გამოიყენება სპორტული წვრთნის პროცესში (ე.ი. სპორტსმენების შეჯიბრებისათვის მოსამზადებლად) და არა საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარე სასწავლო პროცესში, როდესაც ხდება არა სპორტსმენის შეჯიბრებისთვის მომზადება, მისი „კუნთთთა ჯგუფების განვითარება“ ან ა.შ., არამედ მხოლოდ სტუდენტების მოძრაობითი უნარ-ჩვევების სადემონსტრაციო დონეზე ათვისების ხელშეწყობა, რისთვისაც სწავლების მეთოდები სრულიად საკმარისია. მთლიანობაში, გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და პროგრამის კომპონენტების სპეციფიკას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის შესწავლას და სწავლის შედეგების (დარგობრივი და/ან ტრანსფერული კომპეტენციების) მიღწევას, როგორც პროგრამის კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის დონეზე. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ასახულია პროგრამის შესაბამის კომპონენტების სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები. • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • პრაქტიკული დისციპლინების სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ის სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც უშუალოდ გამოიყენება, თუნდაც ერთი კონკრეტული სასწავლო კვირისათვის. • განხორციელდეს სილაბუსებში მითითებული წრიული წვრთნის მეთოდის ამოღება ან იმავე სილაბუსებში დეტალურად განიმარტოს მისი გამოყენების საჭიროება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • მიზანშეწონილია, „თვალსაჩინოების კინოციკლოგრაფიული და ვიდეო მაგნიტოფონური დემონსტრირების“ მეთოდის ნაცვლად გამოყენებული იყოს „ციფრულ საშუალებათა გამოყენების მეთოდი“.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასებისას გამოიყენება 100-ქულიანი შეფასების სისტემა (დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E)-საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა; უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი). შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომლებისთვისა შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განისაზღვრება შუალედური და დასკვნითი ფორმისთვის დადგენილია შეფასების ხვედრითი წილი (მაქსიმალური შესაძლო ქულა), ასევე, ამ ფორმებითვის განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ასახულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში, სადაც ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების ქულათა რანჟირება. სასწავლო პროცესის დაწყებამდე სტუდენტებს შეუძლიათ ვებგვერდზე განთავსებული სილაბუსების (https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/ganatlebis-zust-da-sabunebismetyvelo/sports1) გაცნობით მიიღონ ინფორმაცია შეფასების კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ. ასევე სილაბუსი და შეფასების სისტემა ეცნობება სტუდენტს, სასწავლო სემესტრის დასაწყისში, სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ; სილაბუსები კი აიტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სტუდენტის შეფასება დადგენილი პროცედურების შესაბამისად ხორციელდება („სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (https://gu.edu.ge/ge/student-support-services/regulatory-provision-of-the-study-process1). შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ უწყისში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებას მიღწეული შედეგების შესახებ. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირებისაგან საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების და შედეგების გაუმჯობესების შესახებ და/ან გაასაჩივრონ შეფასების შედეგები, რის შესახებაც სტუდენტები არიან ინფორმირებული. შეფასებების გასაჩივრების მექანიზმი მითითებულია დოკუმენტში „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე (https://gu.edu.ge/ge/student-support-services/regulatory-provision-of-the-study-process1) და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი ფლობს სათანადო ინფორმაციას ცოდნის შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ უზრუნველყოფილია უკუკავშირი და დაშვებული ნაკლოვანებების გაუმჯობესების გზების შესახებ განმარტებებისა და რჩევების მიღების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კურიკულუმი, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები.
- ვებგვერდი (https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/ganatlebis-zust-da-sabunebismetyvelo/sports1);
- („სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესი“ (https://gu.edu.ge/ge/student-support-services/regulatory-provision-of-the-study-process1) - გაცნობის თარიღი: 16.02.2020; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ვებგვერდის მეშვეობით https://www.gu.edu.ge/ge/ პროგრამის სტუდენტებს აქვთ საშუალება, მიიღონ მათთვის საინტერესო/აქტუალური ინფორმაცია, მათ შორის პროგრამის, პროგრამის კომპონენტების შესახებ (სასწავლო კურსების განხორციელების გეგმებსა და მეთოდებზე, შეფასების მეთოდებზე და კრიტერიუმებზე, შესასწავლ თემებზე, დატვირთვაზე და სხვ.. სტუდენტები სასწავლო კურსის სილაბუსს ეცნობიან სასწავლო სემესტრის დაწყებამდე - ყველა სილაბუსი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე (https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/ganatlebis-zust-da-sabunebismetyvelo/sports1), ასევე ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის სისტემის (პლატფორმის) მეშვეობით. პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს უტარდებათ გაცნობითი შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომლებიც აცნობენ ზოგად წესებსა და სწავლების თავისებურებებს. ასევე, დაწესებულების ვებ-გვერდზე https://gu.edu.ge/uploads/other/11/11755.pdf განთავსებულია სტუდენტთა გზამკვლევი, სადავ მითითებულია სტუდენტისთვის სხვადასხვა სასარგებლო, მათ შორის - საკონტაქტო ინფორმაცია. ამავე გზანკვლევში მითითებულია, რომ „კონსულტაციების და დახმარების მიღება კონკრეტულ სასწავლო კურსში აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად სტუდენტს შეუძლია მიიღოს ამ კურსის პასუხისმგებელი ლექტორისაგან ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში ყოველკვირეულად ამ კურსის სილაბუსში მითითებულ დროს. სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები გათვალისწინებულია პერსონალის დატვირთვაში“. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (https://gu.edu.ge/ge/student-support-services/regulatory-provision-of-the-study-process1), რომელშიც აღწერილია ისეთი საკითხები, როგორიცაა, მაგალითად სტუდენტის სასწავლო დატვირთვა, სემესტრული შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ჩატარების წესი, სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი, სტუდენტის უფლება-მოვალეობები და სხვ. ამავე დოკუმენტის თანახმად, „სტუდენტს, რომელიც არ ეთანხმება შეფასების ან/და გამოცდის შედეგს, უფლებამოსილია, შეფასების ან/და გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არაუგვიანეს ოთხი სამუშაო დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგის გადასინჯვა“. ინტერვიურებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, პროგრამის ხელმძღვანელს, დეკანატს, ასევე მათ აქვთ დამატებითი კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა ინტერვიურებისას, დაადასტურა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა. აქვე აღსანიშნავია, რომ

ინფორმაცია ინდივიდუალური მუშაობის განრიგის შესახებ (დღე, საათი) ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის (ინფორმაცია მითითებულია დაწესებულების ვებგვერდზე და სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში განთავსებულ პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში).

სტუდენტებს აქვთ პირადი ელექტრონული გვერდი („სტუდენტის პირადი ვებსივრცე", http://files.gu.edu.ge/gu/), სადაც ხდება მიღებული შეფასებების ასახვა. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები ფლობენ ზოგად ინფორმაციას მიღებული შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ, თუმცა სასურველია სტუდენტებს დამატებით ჩაუტარდეს საინფორმაციო შეხვედრები ამ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების წახალისების მექანიზმები (სტიპენდია), არსებობს „სოციალური პროგრამის განხორციელების წესი" და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმი. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ განთავსებულის დაწესებულების ვებგვერდზე https://gu.edu.ge/ge/student-support-services/social-support-for-students

პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამაში - დაწესებულებას აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ლატვიის სპორტის განათლების აკადემიასთან (2017 წელს) და „ერასმუს+"-ის ფარგლებში - ოპოლეს ტექნიკურ უნივერსიტეტთან (პოლინეთი), რომელთანაც თანამშრომლობის ვადა 2022 წელს იწურება. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააფართოვოს საერთაშორისო ურთიერთობები ევროპულ უნივერსიტეტებთან მეტი საერთაშორისო აქტივობის განხორციელების მიზნით. სტუდენტებთან ინტერვიურებისას, სტუდენტთან ნაწილმა დაადასტურა, რომ ჰქონდათ პოლონური ენის უფასოდ შესწავლის საშუალება, ინტერვიუში მონაწილე ერთ-ერთმა სტუდენტმა კი დაადასტურა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა.

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება მუდმივად აწყობს სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებს და დაადასტურეს კონფერენციაში ჩართულობის ფაქტი. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ ხელი შეუწყოს სტუდენტების როგორც სპორტულ, ისე სხვა ადგილობრივ ღონისძიებებში ჩართულობას.

სტუდენტები ადასტურებენ კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის აქტიურობას: რეგულარულად ხდება ვაკანსიების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის გაგზავნა, თუმცა ეს ვაკანსიები არ არის პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი და ზოგად/არაპროფილურ ხასიათს ატარებს (მაგ., ბანკები, სხვ.). შესაბამისად, მიზანშეწონილია კარიერული განვითარების და მხარდაჭერის სამსახურმა გაუმჯობესოს სტუდენტებთან მუშაობის მექანიზმები და არ შემოიფარგლოს მხოლოდ სტუდენტებისთვის ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გაგზავნით. სასურველია ჩატარდეს მრავალფეროვანი აქტივობები, ტრენინგები სტუდენტების მომავალი პროფესიული უნარების დასახვეწად.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (გამოკითხვების ანალიზი) და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ მიმდინარეობს მათი მოსაზრებების და დამოკიდებულებების შესწავლა, სტუდენტთა მიერ შეფასებას ექვემდებარება სასწავლო პროცესი, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის და მისი განხორციელების ორგანიზება და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა;
- დაწესებილების ვებგვერდი https://gu.edu.ge/;

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები (https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/ganatlebis-zust-da-sabunebismetyvelo/sports1) - გაცნობის თარიღი: 16.02.2020;
- „სტუდენტის პირადი ვებსივრცე“, http://files.gu.edu.ge/gu/) - გაცნობის თარიღი: 16.02.2020;
- „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (https://gu.edu.ge/ge/student-support-services/regulatory-provision-of-the-study-process1) - გაცნობის თარიღი: 16.02.2020;
- სტუდენტთა გზანკვლევი (https://gu.edu.ge/uploads/other/11/11755.pdf) - გაცნობის თარიღი: 16.02.2020;
- „სოციალური პროგრამის განხორციელების წესი“ და სოციალურად მოწყვლადი სტუდენ-ტების მხარდაჭერის მექანიზმი (https://gu.edu.ge/ge/student-support-services/social-support-for-students) - გაცნობის თარიღი: 16.02.2020;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ლატვიის სპორტის განათლების აკადემიას-თან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურმა უნდა გააუმჯობესოს არსებული და დანერგოს სტუდენტებთან მუშაობის ახალი მექანიზმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გაძლიერდეს ადგილობრივ/საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა;
- მიზანშეწონილია გაძლიერდეს სტუდენტებთან უკუკავშირი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

–

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		☒		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალის 10 წარმომადგენელი (მათ შორის, 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი) და 13 მოწვეული პერსონალი. აკადემიურ პესონალს შორის აფილირებულია 3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და ერთი ასისტენტ-პროფესორი, ხოლო სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალიდან 10 დარგობრივი პერსონალია. აკადემიურ პერსონალს აკადემიური თანამდებობები დაკავებული აქვთ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - კონკურსის წესით, ხოლო მოწვეული სპეციალისტების პროგრამაში ჩართვა ხორციელდება დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის პერსონალის დატვირთვის სქემა და რეალური დატვირთვა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი, მათი საერთო რაოდენობა და დენადობის დაბალი მაჩვენებელი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამაში მოწვეულია შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალი. რიგი სპორტული სპეციალიზაციების (კალათბურთი, ფრენბურთი, ქართული ჭიდაობა, ჩოგბურთი, ხელბურთი) და თეორიული სასწავლო კურსების დიდი ნაწილი იკითხება ერთი და იმავე პირთა მიერ, მაგალითად: ერთი და იგივე პირი კითხულობს სპორტისა და ოლიმპიზმის ისტორიას, ფიზიკური აღზრდის თეორიას, სპორტის თეორიას, მოძრავი თამაშებს, სპორტული წვრთნის საფუძვლებს და სპორტის მენეჯმენტს (ეს უკანასკნელი კურსი - სპორტის მენეჯმენტი - რადიკალურად განსხვავებულია წინა კურსებისაგან; თუმცა წინა კურსებიც მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან); ერთი და იგივე პირი უძღვება ფეხბურთისა და ჩოგბურთის კურსებს; ერთი და იგივე პირი უძღვება კალათბურთსა და ხელბურთს; ერთი და იგივე პირი უძღვება თავისუფალ ჭიდაობას, ქართულ ჭიდაობას და ძიუდოს (თავისუფალი ჭიდაობა სპორტის უჩოხო ჭიდაობის სახეებს განეკუთვნება - ძიუდო და ქართული კი სულ სხვა მიმართულებებია - ჭიდაობის ჩოხიან ჭიდაობებად ერთიანდება). ასეთი მიდგომა ეჭვქვეშ აყენებს სპორტის სახეობების სხვადასხვა მიმართულების სასწავლო

კურსების სათანადო განხორციელებას და დაგეგმილი შედეგების მიღწევას, როგორც ამ სასწავლო კურსების, ისე პროგრამის დონეზე. გამონაკლისი ერთ შემთხვევაში შეიძლება დაიშვას: ერთმა პირმა მხოლოდ თეორიული ნაწილი შეიძლება წაიკითხოს ჭიდაობის როგორც ჩოხიან, ისე უჩოხო სახეებში, პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად კი სხვადასხვა პირი უნდა იქნას მოწვეული. სპორტთამაშებშიც - თეორია წაიკითხოს ერთმა პირმა კალათბურთსა და ხელბურთში, მაგრამ პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად ორივე სახეში სხვადასხვა პირი იქნეს მოწვეული. მაგრამ მაინც, საუკეთესო შემთხვევაში, როგორც თეორიული მეცადინეობები, ისე პრაქტიკული მეცადინეობები უმჯობესია, რომ წაიკითხოს ერთმა პირმა, შესაბამისი დარგის პროფესიონალმა. ზემოთ აღნიშნული გარემოებები დასტურდება პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით, ასევე პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შესწავლით და პერსონალის პირადი საქმეების (CV) ანალიზით. მითითებული გარემოება მეტყველებს ამ კურსების განმახორციელებელი პერსონალის ნაკლებობაზე. დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განმახორციელებელთა აკადემიური საქმიანობის შეფასების მექანიზმი. პერიოდულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა მათი აზრისა და კმაყოფილების ხარისხის განსაზღვრის მიზნით. სტუდენტთან გამოკითხვები, სხვა ასპექტებთან ერთად, მოიაზრებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასებას. ანალიზის შედეგები გამოიყენება აკადემიური პროცესის გასაუმჯობესებლად. პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს დაწესებულების სტრუქტურით (https://gu.edu.ge/uploads/other/11/11643.pdf)) განსაზღვრული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; • პროგრამის განმახორციელებელთა სია; • პროგრამის განმახორციელებელთა პირადი საქმეები (CV); • სტუდენტების გამოკითხვები; • დაწესებულების ვებგვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პროგრამის ყველა კომპონენტის განხორციელება იყოს უზრუნველყოფილი ამ კომპონენტის სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციის მქონე აკადემიური და/ან მოწვეული პერსონალის მიერ - პრაქტიკული დისციპლინების ყოველი ცალკეული სასწავლო კურსი (თეორიული თუ არა, პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარების დონეზე მაინც) წაიყვანოს შესაბამისი დარგის სპეციალისტმა და ეს დადასტურდეს სილაბუსებსა და ხელშეკრულებებში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება ყოველწლიურად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას და შედეგებს იყენებს პერსონალის პროფესიული განვითარების, აგრეთვე წახალისების მიზნით. აღნიშნული შეფასება ხორციელდება „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის“ შესაბამისად, რომელიც მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი საქმიანობის შეფასებას. დაწესებულებაში სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობასა და მხარდაჭერას, კვლევითი საქმიანობის უწყვეტ განვითარებასა და სასწავლო პროცესში კვლევების ინტეგრაციას. პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში. დაწესებულებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები - ტარდება საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ტრენინგები, ხორციელდება დაწესებულების პერსონალის სამეცნიერო პროექტების, მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის დაფინანსება, სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციებისა და სამეცნიერო ხასიათის ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა. ასევე, ტარდება პერსონალის გამოკითხვები, რომლის შედეგები გამოიყენება სხვადასხვა განმავითარებელი ტრეინინგენის დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. ამავდროულად, სასურველია გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები. პროგრამის განვითარების ხელის შეწყობისათვის შემუშავებულია „სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია“ და 2017 წელს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორადუმი ლატვიის სპორტის განათლების აკადემიასთან (Latvian Academy of Sport Education), რომელიც ითვალისწინებს გაცვლით პროგრამაში პერსონალის მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა ეს შესაძლებლობა ნაკლებად არის გამოყენებული, რაც დასტურდება, მათ შორის ინტერვიუს შედეგებით. აღნიშნული წარმოადგენს პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვან მექანიზმს, რომლის გამოყენება ამ ეტაპზე საჭიროებს გააქტიურებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“; • პროგრამის პერსონალის პირადი საქმეები; • პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო მივლინებები, კონფერენციები, გაცვლითი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ლატვიის სპორტის განათლების აკადემიასთან;
- „სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია";
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია გაძლიერდეს საერთაშორისო აქტივობებში, კერძოდ კი სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურით, ტექნიკური აღჭურვილობითა და სპორტული ინვენტარითა და ინფრასტრუქურით. არსებობს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სხვა მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორია-ლაბორატორიები. დაწესებულებას აქვს როგორც ღია, ასევე დახურული სპორტული მოედნები, საშხაპეები, გასახდელები და სხვა ყველა საჭირო სივრცე, რაც აუცილებელია პროგრამის განხორციელებისთვის.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომლის სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომპიუტერებით, პრინტერებით, სკანერებით, ასლგადამღები მოწყობილობით) და ინტერნეტით. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი განსაზღვრულია დაწესებულების ბიბლიოთეკის დებულებით. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აღრიცხულია საინვენტარო წიგნებში. ბიბლიოთეკაში არსებობს კატალოგი როგორც მატერიალური ფორმის (ანბანური და სისტემატური), ასევე ელექტრონული

(ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა "Openbiblio"). პროგრამის სტუდენტებსა და განმახორციელებლებს ემსახურება ბიბლიოთეკის კომპეტენტური პერსონალი. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურის არსებობა - ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სამეცნიერო პერიოდული გამოცემები და საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის სამეცნიერო მონაცემებს, რაც ასევე ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. რეგულარულად ხდება საბიბლიოთეკო რესურსების და საბიბლიოთეკო ფონდის განახლება და შევსება პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და სხვადასხვა გამოცემებით, თუმცა უნდა ითქვას, რომ სპორტის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ახალი (ბოლო 5 წლის გამოცემები) დარგობრივი საბიბლიოთეკო წიგნადი რესურსი შედარებით მწირია. ინფორმაცია საბიბლიოთეკო სერვისების შესახებ განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე (https://gu.edu.ge/ge/library).

დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
- პროგრამის განხორციელების ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- ფაქტობრივი გარემოებები, ვზუალური დათვალისწრება;
- ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის უზრუნველყოფა საჭირო ფინანსური რესურსებით ხდება დაწესებულების ერთიანი ბიუჯეტიდან, სადაც გაწერილია სახელფასო ფონდი, საოფისე ხარჯები, სამეცნიერო კვლევებზე და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხა, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება, საბიბლიოთეკო ხარჯები, სახელმძღვანელობეის და სხვა სასწავლო მასალების შეძენის ხარჯები და სხვ. აგრეთვე, ანალოგიური მუხლები გათვალისწინებულია ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში. აქვე აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ცალკე პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო დაწესებულების და ფაკულტეტის ბიუჯეტებში არ იკვეთება უშუალოდ სპორტის პროგრამის საჭიროებებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები. შესაბამისად, შეუძლებელია პროგრამის ფინანსური რესურსების საკმარისობაზე და პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობაზე მსჯელობა. ინტერვიუს დროს დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ პროგრამის ყველა საჭიროება იქნება უზრუნველყოფილი ფაკულტეტისა და დაწესებულების ცენტრალური ბიუჯეტებიდან და პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ შეექმნება. ასევე, ფაკულტეტის დეკანმა განმარტა, რომ არსებობს პროგრამის ბიუჯეტი სამუშაო (არადამტკიცებული) დოკუმენტის ფორმით და ეს დოკუმენტი ითვალისწინებს უშუალოდ პროგრამისთვის გასაწევ ხარჯებს. გარდა ამისა, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიზნეს-პროცესების უწყვეტობის გეგმა (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-62 დადგენილება), „რომელიც მოიცავს დაწესებულების საქმიანობის ყველა სფეროს, ითვალისწინებს ბიზნეს პროცესების აღდგენას კრიზისულ სიტუაციებში და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უწყვეტ ფუნქციონირებას“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი; • თვითშეფასების ანგარიშში მითითებული სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესპროცესების უწყვეტობის წესის დამტკიცების შესახებ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის N09-62 დადგენილება. • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული და დოკუმენტირებული უშუალოდ სპორტის საბაკალავრო პროგრამისთვის გამოყოფილი და პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფინანსური რესურსები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): –
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) –
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☒		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში პროგრამის შემუშავებისა და განვითარების საკითხებს არეგულირებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული (დადგენილება #09-12, 23.03.2018) „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია“, რომელთანაც დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი გარემოებები: დოკუმენტის რამდენიმე მუხლი (მ.2.2, პ. 2, 3; მ. 2.3, პ.3, პ.4) მოიცავს დღეისათვის შეუსაბამო ჩანაწერებს და საჭიროებს კორექტირებას. ამავდროულად, ვიზიტის მსვლელობისას, დაწესებულებამ წერილობით განმარტა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო თვითშეფასების დანართად ცენტრში გადმოგზავნილ იქნა „სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციის" ძველი (2018 წლის) ვერსია, რომელშიც აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით 2020 და 2021 წლებში შევიდა ცვლილებები (აკადემიური საბჭოს დადგენილებები: #6-31, 28.05.2020; #6-49, 26.10.2021), განახლებული ინსტრუქცია კი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზეც. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების გადაწყვეტილებით ექსპერტებს წარედგინათ ინსტრუქციაში ცვლილებების დამტკიცების აქტები, რომლებიც იყო გამოცემული ვიზიტის განხორციელებამდე, რაც გახდა შეფასებისას მათი გათვალისწინების საფუძველი.

ზემოთ მითითებული დოკუმენტი არეგულირებს შემდეგ საკითხებს: პროგრამის დაგეგმვის პროცესში გასათვალისწინებელი ასპექტები (შრომის ბაზრის და დამსაქმებელთა მოთხოვნებთან შესაბამისობა, პროგრამის დაგეგმვაში მონაწილეები, პროგრამის რესურსები), პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, გაუქმების და ცვლილებების შეტანის პროცედურები, მოთხოვნები პროგრამის კურიკულუმისა და მისი დანართებისადმი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები და სხვ. ამავე დოკუმენტით (მ. 3 „პროგრამის განვითარება“) განსაზღვრულია პროგრამის განვითარების მექანიზმები, მათ შორის შეფასების შედეგების ანალიზი, პროგრამის განხხორციელების შეფასება, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლა, აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა, უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან პროგრამის პერიოდული დადარება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენების მიზნით და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციით დადგენილი მოთხოვნების იმპლემენტაციას უზრუნველყოფს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის სტრუქტურა აერთიანებს ცენტრალურ ოფისს და

ფაკულტეტებზე შექმნილ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს აქვთ შესაძლებლობა, იმოქმედონ დამოუკიდებლად, ერთიანი საუნივერსიტეტო პოლიტიკის ფარგლებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის სამოქმედოა PDCA პრონციპი, რომლის თანახმად, წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა, მონაცემების შეგროვება და დამუშავება, შეფასება, გაუმჯობესებაზე მიმართული რეკომენდაციების შემუშავება და რეაგირების მიზნით შესაბამისი სტრუქტურული ერთეუებისთვის, მათ შორის ფაკულტეტის დეკანისთვის, წარდგენა. შემდგომ, ფაკულტეტის დეკანის მიერ დადგენილ ვადებში, პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების საფუძველზე ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს მოსაზრებებსა და წინადადებებს, არსებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ. შემუშავებულია პროგრამის კურიკულუმის რუკა (მითითებულია სწავლის შედეგები და მათ ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები) და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა (მითითებულია სწავლის შედეგები, ამ შედეგების ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტები, სამიზნე ნიშნულები, შეფასების მეთოდები), ასევე, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია პროგრამის შეფასების ერთწლიანი გეგმა (მოიცავს განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს, განხორციელების პერიოდს, განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს). განსაზღვრულია შეფასებების პერიოდულობა - მაგალითად, სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად ახდენს პროგრამის კომპონენტების განხორციელებისა და პერსონალის მუშაობის და პროფესიული განვითარების შეფასებას, ხოლო ყოველ სამ წელიწადში ერთხელ - მთლიანად პროგრამის განხორციელების შეფასებას. შეფასების პროცესში გამოიყენება სასწავლო კურსის და პროგრამის შეფასების უნიფიცირებული ფორმები, რომლებშიც შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და მიეთითება რეკომენდაციები.

შეფასების მექანიზმების სისტემატური გამოყენება დასტურდება როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით (საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმები, სასწავლო კურსების შეფასების ანგარიშები, რეკომენდაციები, სხვ.), რომლებიც ასახავენ 2015-2020 პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელებულ საქმიანობას, ისე თვითშფასების ჯგუფთან და პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით. ინტერვიუში მონაწილე პირები ხაზგასმით აღნიშნავდნენ როგორც გეგმიური შეფასების, ისე თვითშეფასების პროცესის თანამშრომლობით ხასიათს, თვითშეფასების ჯგუფის კონსულტირებასა და ხელშეწყობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტიურ ჩართულობას.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი არის გამჭვირვალე (მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ მიდგომებს, მეთოდებს და შემოწმების პერიოდულობას, შეფასების შედეგები ასახულია შეფასების ფორმებში, შედეგები და რეკომენდაციები ცნობილია პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალისთვის);
- პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესი არის სისტემატური (წარმოდგენილია 2015-2020 პერიოდის ამსახველი ინფორმაცია);

- პროგრამის მოდიფიცირების და შეფასების პროცესი არის თანამშრომლობითი (განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების გზით, მოქმედი წესების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით).

შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანანამშრომლობს სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და პროგრამის განმახორციელებელ გუნდთან, ახდენს როგორც მათ შეფასებას, ისე ხელშემწყობი ღონისძიებების დაგეგმვას, კონსულტირებას და ინფორმირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია“ (დამტკიცებული დადგენილებით #09-12, 23.03.2018);
- „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია“ (დამტკიცებული დადგენილებებით: #6-31, 28.05.2020; #6-49, 26.10.2021) - დამატებით წარმოდგენილი;
- „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
- სპორტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- პროგრამის და სასწავლო კურსების შემოწმების უნიფიცირებული ფორმები;
- განხორციელებული შეფასების შედეგების ამსახველი მასალა (2015-2020);
- ჩატარებული გამოკითხვების ამსახველი მასალები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების ამსახველი მასალები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (2015-2021);
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები (2015-2021);
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2019-2020 სასწავლო წლის წლიური საქმიანობის შეფასების მიზნით განხორციელებული სამუშაოების შესახებ:
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

–

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას გარე შეფასების შედეგად მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N33, 13.03. 2020) და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად შემუშავდა რეკომენდაციები (ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ მითითებულია აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის რუბრიკაში „საგანმანათლებლო პროგრამის მოკლე მიმოხილვა“). წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და გასაუბრებების შედეგებით დგინდება, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2020-2021 წლებში, პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც რეკომენდაციების შესაბამისად შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

რეკომენდაციები	**მტკიცებულება**
პროგრამის წინაპირობებთან დაკავშირებული რეკომენდაცია: - უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სპორტულ ტურზე მიღების დოკუმენტი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი. მიღების დოკუმენტში დეტალურად უნდა აღიწეროს პროგრამაზე მიღების წინაპირობები, მიღების პროცედურები, სპორტული ტურის ნორმატივები და შიდა საუნივერსიტეტი გამოცდაზე აპლიკანტთა შეფასების სისტემა (შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები) და თვალსაჩინოებისათვის ინფორმაცია განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე.	სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ჩატარების ინსტრუქცია და გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (#1-38, 28.05.2021) ვებგვერდი: https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/ganatlebis-zust-da-sabunebismetyvelo/sports1
პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციები: - პროგრამა სტრუქტუირდეს ზოგადი, შესავალი კურსების, მედიკო-ბიოლოგიერი, სპორტული სპეციალიზაციების, მულტიდისციპლინარული ან/და ინტერდისციპლინარული სპორტული ტრენინგისბლოკებად და/ან მოდულებად; - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იყოს პროფესიული პრაქტიკის შემსწავლელი კურსი.	პროგრამის კურიკულუმი (სასწავლო გეგმა)
სასწავლო კურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციები: - მკაფიოდ განისაზღვროს სპორტული სპეციალიზაციების სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდები, დასახული მიზნისა და შედეგების მისაღწევად სპეციფიკის გათვალისწინებით (ნაწილობრივ შესრულებულია). - შემუშავდეს საგანმანათლებლო კომპონენტებისათვის კრედიტების განაწილების მექანიზმი სასწავლო კომპონენტის სპეციფიკის, შინაარსის მოცულობის და საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის შესაძლებლობების გათვალისწინებით. სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ყველა სასწავლო კურსი (საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო, სპეციალობის, თავისუფალი) არის 5-კრედიტიანი; - პროგრამის კომპონენტები თანმიმდევრულ ბმაში უნდა იყოს ერთმანეთან და უზრუნველყოფდნენ პროგრამის გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევას. წინაპირობების არსებობა სტუდენტებისთვის სილაბუსიდანაც წინასწარ უნდა იყოს ცნობი-	პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებლების შესახებ; პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები - დაწესებულების ვებგვერდი: https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/ganatlebis-zust-da-sabunebismetyvelo/sports1

ლი, რომელთანაც მათ აქვთ წვდომა საგნების არჩევამდე. წინაპირობები უნდა ჰქონდეს ყველა იმ საგანს, რომელიც ლოგიკურ ბმაშია კონკრეტულ კომპონენტთან; - ძვალ-სახსროვანი და ნერვ-კუნთოვანი ანატომის აუცილებელი სასწავლო თემატიკის გათვალისწინებით და სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის გზით მოდიფიცირდეს ადამიანის ანატომიის 2 სასწავლო კურსი და განისაზღვროს 5 კრედიტის მოცულობით. როგორც წინაპირობა, მოვიდეს ლოგიკურ ბმაში კონკრეტულ დისციპლინებთან. - მედიკო-ბიოლოგიური მიმართულების, ვარჯიშების ბიომექანიკის და სპორტული სპეციალიზაციების კონკრეტული სასწავლო კურსების სწავლებისათვის შეირჩეს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელთაც ექნებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსით უზრუნველყოფთ პროგრამის მდგრადობას (რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია); - სასურველია, ქართულ ენაზე ითარგმნოს ლიტერატურა; პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული საკითხავი მასალა პროგრამის განხორციელების განმავლობაში მუდმივად უნდა გადაიხედოს და, საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს ან/და მოხდეს მისი სრულყოფა.	

ინტერვიუს დროს პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულების პროგრამის მოდიფიცირების პროცესში, შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, შემდგომ კი განიხილეს პროგრამის დასრულებული პროექტი, რომელიც მთლიანად პასუხობს დარში არსებულ საჭიროებებს, არის აქტუალური როგორც სპორტის სფეროსთვის, ისე რეგიონისათვის. პოტენციურმა დამსაქმებლებმა აღნიშნეს მათი რეკომენდაციები იყო გათვალისწინებული. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გახდა მათი მხრიდან პროგრამის დადებითად შეფასების საფუძველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის კურიკულუმი და სილაბუსები;
- სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები (შიდა) სპორტული ტურის ჩატარების ინსტრუქცია და გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება (#1-38, 28.05.2021) - დამატებით წარმოდგენილი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს საქართველოს და უცხოეთის უსდ-ების დარგის სპეციალისტების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია“ (მ. 3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მეთოდოლოგია) თანახად, პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფა და განვითარება ეფუძნება პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების ანალიზს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს შრომის ბაზრის მოთხოვნების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და პროგრამის სტუდენტების და განმახორციელებლების გამოკითხვის შედეგების შესწავლას. ამავე დოკუმენტის თანახმად, მითითებული გამოკითხვები ტარდება თითოეული სასწავლო კურსისთვის, სემესტრის დასრულებისას. დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლა დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანალიზის დოკუმენტებით:

- პროგრამის მიზნებისთვის ჩატარებული გამოკითხვები: დამსაქმებელთა გამოკითხვა; კურსდამთავრებულთა გამოკითხვა; პერსონალის გამოკითხვა პერსონალის ყოველსემესტრული გამოკითხვა; სტუდენტების გამოკითხვა; სტუდენტების ყოველსემესტრული გამოკითხვა.
- საუნივერსიტეტი კვლევები და ანგარიშები: აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა; დამსაქმებელთა კვლევა; კურსდამთავრებულთა კვლევა; სტუდენტების კმაყოფილების კვლევა და სხვ.

სხვადასხვა გამოკითხვებში მონაწილეობა დაადასტურეს ინტერვიუს დროს სტუდენტებმა, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რომლებმაც დადებითად შეაფასეს პროგრამა და აღნიშნეს მისი აქტუალობა.

პროგრამის განვითარების მექანიზმად, ასევე, მოიაზრება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, რომლის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტით („სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“). მითითებული დოკუმენტის თანახმად, შეფასების შედეგები აისახება შესაბამის ფორმაში, შეფასების პროცესი კი მიმდინარეობს შეფასების გეგმის შესაბამისად. ანალოგიური გეგმა შემუშავებულია „სპორტის“ საბაკალავრო პროგრამისთვისაც და მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის აღწერას, ამ შედეგის შეფასებისთვის განსაზღვრულ პერიოდს (შეფასების აკადემიურ წელს), ამ შედეგის ფორმირებაში მონაწილე სასწავლო კურსების ჩამონათვალს, შეფასების მეთოდს (პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასება) და დაგეგმილ სამიზნე ნიშნულს, რომელიც ყველა შედეგისთვის (ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)

შეადგენს 70%-ს. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ეს მაჩვენებელი გამოხატავს საპროგნოზო (თეორიულ) მაჩვენებელს, რადგან სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის და დადარების მექანიზმი შედარებით ახალია და ამ დროისთვის შეუძლებელია მისი გამოყენებით დაგეგმილი სამიზნე ნიშნულების სისწორის შემოწმება. ამ მექანიზმის გამოყენებით პროგრამის შეფასება განხორციელდება 2024-2025 აკადემიურ წელს (ზოგადად აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პროგრამა პირობითად აკრედიტებულია 2020 წელს, რის შემდეგ განიცადა ცვლილებები, რის გამო უშუალოდ აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამისთვის მექანიზმი სრულად გამოყენებული ვერ იქნებოდა) პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, დადარების შედეგად დაგეგმილი ნიშნულები დაკორექტირდება რეალურად არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით. მათი განმარტებით, ამ ეტაპზე პროგრამის ათვისების კონტროლის მექანიზმად გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა და ანალიზი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დგინდება, რომ პროგრამის შეფასების პროცესი ხორციელდებოდა სისტემატურად: შესწავლას ექვემდებარებოდა როგორც პროგრამის შინაარსობრივი მხარე, ისე სწავლების და შეფასების მეთოდოლოგია, სასწავლო პროცესის ორგანიზება, სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა და სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სხვ. შემოწმების პროცესში ხდებოდა გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირება, რეკომენდაციების შემუშავება, იგეგმებოდა ტრეინინგები და ა.შ. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები აისახებოდა სხვადასხვა ანგარიშებში. ამავდროულად, მიზანშეწონილია პროგრამის შეფასებისას კომპლექსურად იყოს განხილული პროგრამის განხორციელებითვის ყველა აუცილებელი ადამიანური, მატერიალური, ფინანსური რესურსების საკმარისობისა და პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობის საკითხი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის დადასტურების შესაძლებლობას.

2015-2021 პერიოდში, შეფასების შედეგად, დაიგეგმა და განხორციელდა სხვავასხვა ღონისძიება, მაგალითად პერსონალის შეფასების შედეგად ჩატარდა ტრეინინგები (დისტანციურ სწავლებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, პლაგიატთან დაკავშირებით დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციები; პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება; სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წერა და საგრანტო განაცხადის შემუშავება და სხვ.). შიდა ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა გამსხვილებული სახით, განხორციელდა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში (სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სისტემაში და კომპონენტის განმახორციელებლი პირის მიერ გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებში), დაინერგა შეფასების კომპონენტის სახით ყოველკვირეული გამოკითხვის (ქვიზის) გამოყენება; განხორციელდა კურსდამთავრებულთა გამოკითხვები და მათი მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა პროგრამის განვითარებაში და სხვ. ზემოთ აღნიშნული აღწერილია სხვადასხვა ანგარიშებში (მაგალითად, „პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები“, 2015-2021; „შიდა ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები“, 2015-2021).

ინტერვიუს დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსა-

ხურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის განვითარების მიზნით შეისწავლეს სპორტის სფეროში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები. მეტი სიცხადისთვის დაწესებულებას ეთხოვა აღნიშნულის ამსახველი მასალების წარდგენა, რაც დაწესებულებამ უზრუნველყო. წაარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან გაირკვა, რომ ძირითადად, განხორციელდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამასთან დადარება. უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან დაკავშირებით ექსპერტებს განემარტათ, რომ უცხოეთის პროგრამების ძირითადი ნაწილი მნიშვნელოვნად განსხვავდება დაწესებულების პროგრამის კონცეფ-ციისაგან. პროგრამის გუნდმა შეისწავლა ლატვიის სპორტის განათლების აკადემიის სპორტის (მასწავლებლისა და მენეჯერის, სპორტის მწვრთნელისა და მენეჯერის) საგანმანათლებლო პროგრამა. დადარების შედეგად დადგინდა, რომ არსებობს პროგრამების თანხვედრა, რაც ქმნის ლატვიის სპორტის განათლების აკადემიასთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომ-ლობის მემორანდუმის საფუძველზე გაცვლითი პროგრამის განხორციელებისა და დაწესებუ-ლების პროგრამის შემდგომი განვითარების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათ-ლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია“;
- „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები“;
- სპორტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- განხორციელებული შეფასების შედეგების ამსახველი მასალა (2015-2020);
- ჩატარებული გამოკითხვების ამსახველი მასალები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების ამსახველი მასალები;
- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (2015-2021);
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებები (2015-2021);
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2019-2020 სასწავლო წლის წლიური საქმიანობის შეფასების მიზნით განხორციელებული სამუშაოების შესახებ;
- საქართველოს (სპორტის უნივერსიტეტის) და უცხოეთის (ლატვიის სპორტის განათლების აკადემიის) უსდ-ების პროგრამებთან დადარება - დამატებით წარმოდგენილი;
- თანამშრომლობის მემორანდუმი ლატვიის სპორტის განათლების აკადემიასთან;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია პროგრამის შეფასებისას კომპლექსურად იყოს განხილული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის დადასტურების შესაძლებლობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

–

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

–

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარის-ხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ ერთვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„სპორტი“. ბაკალავროატი

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 47

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☒		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		☒		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☒		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

გიორგი ზუბიტაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ლელა აფციაური

ზურაბ კაკაბაძე

თამარ გვიანიშვილი

გიორგი აბულაძე